საქართველოს მთავრობის

განკარგულება №629

2015 წლის 26 მარტი

ქ. თბილისი

აზიის განვითარების ბანკის მიერ „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5-ის“ დაფინანსების თაობაზე

1. მიღებულ იქნეს ცნობად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია, აზიის განვითარების ბანკის მიერ „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5-ის“ დაფინანსების თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართოს აზიის განვითარების ბანკს, „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5-ის“ დაფინანსების მიზნით, 75 მილიონი აშშ დოლარი სესხის (დაახლოებით, 32 მლნ აშშ დოლარის ოდენობით სესხი - ADF (Asian Development Fund) პირობებით და 43 მლნ აშშ დოლარის ოდენობით სესხი - OCR (Ordinary Capital Resources) პირობებით) გამოყოფის თაობაზე, შემდეგი ფინანსური პირობებით:

ADF სესხის ფინანსური პირობები:

- სესხის თანხა: დაახლოებით, 32 მლნ აშშ დოლარი;
- სესხის ხანგრძლივობა: 25 წელი;
- მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი: 5 წელი;
- სესხის ვალუტა: სპეციალური სასესხო უფლება (SDR);
- საპროცენტო განაკვეთი: 2%.

OCR სესხის ფინანსური პირობები:

- სესხის ხანგრძლივობა: 24 წელი (მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი 13 წელი);
- საპროცენტო განაკვეთის ტიპი: 6 თვიან Libor-ზე დაფუძნებული ფიქსირებული განაკვეთი (Libor+fixed Spread);
- სესხის ვალუტა: აშშ დოლარი;
- ვალდებულების გადასახდელი (Commitment fee): წლიური 0.15%.

პრემიერ - მინისტრი **ი. ღარიბაშვილი**